ხელშეკრულება №03/188

29.10.2015წ.

ქ.თბილისი

ერთის მხრივ **"საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი"** შემდგომში – "დამკვეთი", დირექტორის **გურამ ბოკუჩავას** სახით და მეორეს მხრივ **ფ/პ ტარიელ წაქაძე** შემდგომში "შემსრულებელი" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:
ტვირთის გადაზიდვის მომსახურება (კოდი: 63110000)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს. საშემოსავლოს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

3.1 "შემსრულებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "დამკვეთის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 „შემსრულებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
4.2 შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. საგადასახადო ვალდებულებას იღებს დამსაქმებელი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „დამკვეთს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 „დამკვეთი" ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3 „შემსრულებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით

5.4 „შემსრულებელი" ვალდებულია
- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებილი სამუშაოები ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების

შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

6.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

6.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

6.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საეთო ღირებულების 0,1% ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 29.10.2015-დან 02.11.2015-მდე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნების მიზეზების მითითებით.

10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11 სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მისამართი: ქ.თბილისი მინდელის ქ. №7 ს/კ 249250821 “ვი-თი-ბი“ ბანკი ჯორჯია კოდი: UGEBGE22 ა/ა №GE68VT6600000000313408	ფ/პ ტარიელ წაქაძე მისამართი: ქ.თბილისი, მუხიანის მე-4 29 კორპ. ბინა№34 პ\ნ 62001004733 სს “თიბისი ბანკი” კოდი: TBCBGE22 ა/ა GE11TB7530745063600030
დირექტორი: გურამ ბოკუჩავა	ფ/პ ტარიელ წაქაძე